

შორენა მურუსიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

კონსტანტინე გამსახურდიას წერილები თამარ და აკაკი პაპავევისადმი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ქართველი ემიგრანტების თამარ და აკაკი პაპავევის პირად საარქივო ფონდში, დაცულია კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თამარ და აკაკი პაპავევისადმი თბილისიდან არგენტინაში გაგზავნილი წერილები.

ეს საარქივო მასალა საინტერესოა ქართველი ემიგრანტების საქართველოში დაბრუნების საკითხის და მათი სამშობლოსთან კონტაქტების შესწავლისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, სტალინის მმართველობის დროს ემიგრაციაში წასული ქართველებისთვის სამშობლოში დარჩენილ ნათესავებთან და ახლობლებთან ურთიერთობა შეუძლებელი იყო. მათ ამის შესაძლებლობა მიეცათ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა ტერორი და რეპრესიები საგრძნობლად შემცირდა. XX საუკუნის 60-იანი წლებით თარიღდება ქართველ ემიგრანტთა საარქივო ფონდებში დაცული საქართველოდან მიღებული პირადი წერილები თუ ცნობები მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების შესახებ. კონსტანტინე გამსახურდიას წერილები თამარ და აკაკი პაპავევისადმი 1963-1964 წლებშია დაწერილი და გაგზავნილი.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ქართველი ემიგრანტები სამშობლოში დაებრუნებინა. ამ მიზნით, მათი მხრიდან, არაერთ მცდელობასა თუ ქმედებას ჰქონდა ადგილი: გზავნიდნენ ცნობილ ადამიანებს ემიგრანტების დასაყოლიებლად, გამოსცემდნენ ვაზეთს და სხვ. კონსტანტინე გამსახურდიას ერთერთი წერილიდან დასტურდება, რომ მას საზღვარგარეთ ემიგრანტების საქართველოში დასაბრუნებლად გზავნიდნენ. კერძოდ იგი

წერს: „ამ რამდენიმე წლის წინად მე მაგზავნიდნენ უცხოეთში მყოფ კულტურ. ქართველების ჩამოსაყვანად, მაგრამ სამწუხაროდ თავი შევიკავე“. გამსახურდია თავის წერილებში არაერთხელ მოუწოდებს აკაკი პაპავას დაბრუნდეს სამობლოში. ცდილობს დაარწმუნოს ადრესატი, რომ საქართველოში ყველა პირობაა შექმნილი ემიგრანტების დაბრუნებისათვის: „ახლა ჩვენს ქვეყანაში ძლიერ კარგი პირობებია. ეგრედ ნოდებული „კულტის“ დროინდელი ამბები მოისპო. ემიგრაციიდან დაბრუნებულთა შორის მრავალი უნივერსიტეტსა და უმაღლეს ინსტიტუტებში მუშაობს“. თუმცა აქვე იმასაც სწერს, რომ ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნებული სამსონ ფირცხალავა გადასახლებაში გარდაიცვალა, რეპრესიებს შეეწირნენ მათი მეგობარი: „ჩვენი მეგობრები თითქმის ყველანი დაიღუპნენ ე. წ. „კულტის ეპოქაში“. დახვრიტეს ქრისტიანად, ვახტანგი, ციმბირში მოკვდა სამსონი. მოკლეს მიშა“. გამსახურდია იმ მძიმე პირობებისა და პერიოდის შესახებაც წერს, რომლის გადატანა და რომლის გავლა მასაც მოუწია რეპრესიების დროს.

აღნიშნული წერილები შეიცავს მწერლის ბიოგრაფიულ ცნობებსაც, კერძოდ მისი შემოქმედების, ოჯახის, სამომავლო შემოქმედებითი გეგმების შესახებ. საყურადღებოა, რომ იგი თავისი ნაწარმოებების პოპულარობას მის წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებსა და კრიტიკას უკავშირებს.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თამარ და აკაკი პაპაევებისადმი გაგზავნილი წერილების შინაარსი ახალ და საყურადღებო ფაქტებს შეიცავს, როგორც მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას, ბიოგრაფიის, ასევე საბჭოთა რეპრესიებისა და ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით.

ტფილისი, 1963, 7, IX

გალის ქ. №15

კოლხური კოშკი

ძვირფასო და სანახავად სანატრელო
ძამო აკაკი!

დიდი ხანია წერილის მოწერას ვაპირებდი, მაგრამ აქამდის ვერ გადავწყვიტე. ამდენი ხანია არ მინახავხარ და როგორ განმცნო ის გულისტკივილი, რომელსაც უშენოდ განვიცდი. ეჰ, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ რაც შენ განვგშორდი, თითქმის არც ერთი ჩემი მეგობარი ცოცხალი არ არის. მე გადავურჩი სიკვდილსა და უამთა სიავეს. ამას წინათ შენი „სოლეილდორი“ [1] გადავიკით-

ხე და გავიხარე ჩვენი ტკბილი მეგობრობის მოგონებითა. თუ ძმა ხარ მალე მომწერე რამე. რას აკეთებ, რას აპირებ, როდის ჩამოხვალ? გეყოფა ახლა უცხოოდ ყოფნა, ჩამოდი შენს სამშობლოში. მე კარგად ვიცი ხანდაზმულ ადამიანისათვის, ისიც შენისთანა პატრიოტისათვის რა ძნელია ეს ყოველივე. ახლა ჩვენში ძლიერ კარგი პირობებია ინტელიგენციისათვის, ამდენი შთაბეჭდილებითა ხარ ალბათ დატვირთული, დასწერ ბევრ რამეს და გაგვახარებ.

ჩემს ამბავს ნუ იკითხავ, ნისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე თორემ სხვა არაფერი დამკლებია. 1953 წლამდის არა ერთხელ ვიყავი რეპრესირებული [2], მხოლოდ ამ წელს მომეცა მუშაობის კარგი პირობები. ალბათ გაიგებდი ბარე ხუთი ტომი ჩემი ნოველებისა, რომანებისა და ესსეებისა გამოვიდა. VI ტომი ამ დღეებში გამოვა. სამი თუ ოთხი კიდევ უნდა გამოვიდეს, რუსულად ექვსტომეული იბეჭდება. ჩემი დიდოსტატის მარჯვენა საფრანგეთში გამოვიდა, მისი ადაპტაცია ორ წელს იბეჭდებოდა გაზეთ ლაუმანიტი დიმანში [3], დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის გამოსვლას, რა თქმა უნდა მე გამეხარდა ბალზაკისა და ანატოლ ფრანსის ქვეყანაში ასეთ დაფასებას, რომ მიიღწია ამ წიგნმა. იგივე გამოვიდა ჰინდის ენაზე, გარდა ამისა, ლიტვის, რუმინეთის [4] ენებზე, სომხურადაც [5] გამოქვეყნდა.

ინგლისურად ითარგმნა და გამოიცა დიდოსტატი [6]. ახლა ვწერ ჩემი ბობოქარი ცხოვრების ამბავს, ამ წიგნს ჰქვია „ლანდებთან ლაციცი“. იგი ჯერ უურნალ „მნათობში“ დაიბეჭდება და მერმე ტომეულებში შევა.

თუ ჯამრთელობამ არ მიღალატა, ერთი დიდი რომანის დაწერას ვაპირებ თამარის ეპოქაზე. საერთოდ ჩემი ქმნილებების რჩეული ტომები შეიცავენ ბარე 400 სასტამბო ფორმას. ცხადია ეს არ იყო ადვილი.

ჩემი მეუღლე მეუბნება: გეყოფა, დაისვენეო, მაგრამ რა დამასვენებს? იმდენი ვიტანჯე და იმდენი იდეები მანუხებენ, საროტაციო მანქანები [7] არ მეყოფა. ამ ბარათს სასინჯად გიგზავნი. თუ გინდა ინგლისურად გამოგიგზავნი დიდოსტატს. თუ არ შენუხდები, ურიგო არ იქნება, თუ ჩემი რომანებითა და ნოველებით დაინტერესებ იქაურ გამომცემლებს. თუ ასეთი რამ მოახერხე, შესაძლოა მე და ჩემი მეუღლე ჩამოვიდეთ. ტფილისში და სერთოდ მთელს საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა. ტფილისი გაიზარდა, გალამაზდა. ნამდვილი სატახტო ქალაქია.

შემომითვალე ჩვენს ლიტ. პრესას ღებულობ თუ არა? თუ არ ღებულობ, გამოგინერ. რას აკეთებს ჩემი დაიკო, ქალბატონი თამარი [8]. ხელზე აკოცე ჩემს მაგივრად. ალბათ მასაც ძლიერ ენატრება სამშობლო.

ვიმეორებ: გეყოფა უცხოდ ყოფნა. შენ ხომ მთავრობის ნებართვითა ხარ წასული და უბატონოდ ვინ გაგცემს ხმას.

ამ რამდენიმე წლის წინად მე მაგზავნიდნენ უცხოეთში მყოფ კულტურ. ქართველების ჩამოსაყვანად [9], მაგრამ სამწუხაროდ თავი შევიკავე. ალბათ გაიგებდი უბედური გრიგოლ რობაქიძე გარდაცვლილა [10]. საოცრად იტანჯებოდა თურმე.

მოსანერი ბევრი მაქვს, მაგრამ ყველაფერს, რასაც ვგრძნობ, ან როგორ მოგნერ. ღამის სამი საათია, მარტო ვარ ჩემს ვილლაში [11] და შენზე ვფიქრობ.

სხვათა შორის თავი გავწირე და მშვენიერი კოლხური კოშკი ავაშენე, ბარე მილიონ ნახევარი დამიჯდა. მთელი ჩემი დანაზოგი დავხარჯე, ეს სახლი ავაშენე აგურის ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე. საუცხოვო ვენახი და ხილის ბალი მოვანყვე. მაშინ მატერიალურად ძალიან მიჭირდა, თავათ ვთოხნიდი. ამ ვილას ერთი ასი ათასი მანეთი კიდევ დასჭირდება, მაგრამ ღმერთი მოწყალეა.

თუ მოთხრობები გაქვს, გამომიგზავნე, აქ ჩემს გემოვნებას ანგარიშს უწევენ და უთუოდ დავაბეჭდვინებ.

ველი შენგან პასუხს

მარადის შენი ერთგული

კონსტანტინე გამსახურდია

P. S. ამას წინად შენი სიძე შემხვდა, კარგად არიან.

ტფილისი, [1963]

გალის 15

კოლხური კოშკი

ჩემო ძვირფასო ძმაო აკაკი!

შენმა წერილმა ფრიად გამახარა. ასე გაუხარელად გაირბინა ნახევარმა საუკუნემ. ჩვენი მეგობრები თითქმის ყველანი დაიღუპნენ. ე. წ. „კულტის ეპოქაში“ [12]. დახვრიტეს ქრისტეფორე [13], ვახტანგი [14], ციმბირში მოკვდა სამსონი [15]. მოკლეს მიშა. შენისთანა კეთილშობილი და ტკბილი მეგობარი ჩვენ ვინა გვყავდა. შენ ასე შორსა ხარ. მოგვიკვდა აკად. ს. ჯანაშია [16], მოკვდა პროფ. გ. ნიკოლაძე [17], მოკვდა პროფ. ჯ. იოსელიანი.

მე ისე დავმარტოვდი, მუშაობით რომ არ ვერთობოდე, თავს მოვიკლავდი. ღამეებს ვათენებ და ამით ვიკლავ დარდს. როგორ მართალი ყოფილა ნიკო ბარათაშვილი: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“. თურმე განვლილი ტანჯვა პერმანენტულ ზეგავლენას ახდენს ჩვენს სულზე.

ჩემს სიყმანვილეში რამდენი მიტირია როცა ვკითხულობდი: ცოტნე დადიანს მონღოლებმა თაფლი ნაუსვეს და ბუზები აწუხებდნენო.

მე ხუთი წელი რეპრესირებული ვიყავი, ბალღინჯოები და მკბენარები მჭამდნენ დანარჩენ დროს სულ დახვრეტას ველოდი. მხოლოდ 1954 წელს ველირსე უშიშარ ცხოვრებას. უნდა ითქვას დიდი პატივისცემა დამიმონმა ჩვენმა მთავრობამ და ხალხმაც. ხომ დიდი ბედნიერებაა დიდი სახელი მრავალრიცხოვანი ერის მწერლისა იგი, შემანუხებელია მცირე რიცხოვან ერის წრეში.

მე არ შემეძლია რესტორანში შესვლა, მომცვივდებიან და დამინყებენ კოცნას. სადმე ღვინის, ან თუთუნის ქარხანაში მიხდა რაიმე ვაყიდინო ჩემს შოფერს, მუქთად მიგზავნიან ყველაფერს.

მე დავწერე ერთხელ და კიდე ვიმეორებ: მე ჩემი სტილის, წერის მანერის მიხედვით ეგ ზომ დიდად პოპულარული არ უნდა ვყოფილიყავ სიცოცხლეში, მაგრამ იმ „კულტის ეპოქაში“ იმდენი მტანჯეს, იმდენს მებრძოდნენ, მაკრიტიკეს, უცნაური პოპულარობა შემექმნა როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და რუსეთში. შარშან ეშმიადინში [18] წირვას დავესწარი. ნაწირვევა კათოლიკოსმა შუბლზე მაკოცა, მერმე დამესია ხალხი და ხელზე კოცნა დამინყეს. საქართველოში მგზავრობის დროს რესტორნის დირექტორები ფულს არ მახდევინებენ.

ჩემი დიდოსტატი ითარგმნა ბენგალურად [19], სომხურად, რუმინულად, ჩეხურად, ლიტვაში გამოვიდა ჩემი „ვაზის ყვავილობა“. მოსკოვში ბრწყინვალე ილუსტრაციებით გამოვიდა გუშინ ჩემი დიდოსტატი. არც ერთ ქართველ მწერალს ჩემოდენა ტირაჟი არ ჰქონია, „ზარია ვასტოკა“ პარალელურად სცემს ჩემს ექვს ტომეულს 40 000, ხოლო მოსკოვში 250 000 ბეჭდავს.

ასეა ჩემი საქმეები. ახლა შენსას მივუბრუნდეთ, მე მჯერა რომ შენ დიდი მწერლის ნიჭი გაქვს, ოღონდ ნუ დააყოვნებ. ამდენი იტანჯე, ამდენი ნახე, გამომიგზავნე შენი მოთხრობები, მე აქ ვიქნები მათი რედაქტორი.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და პ. ინგოროყვა დამპირდნენ წიგნებს გავუგზავნითო. ამ დღეებში გიგზავნი დიდოსტატს ინგლისურ-

რად. სულ მალე მე შეუდგები თამარის ეპოქის პოეტიზირებას. ამისთვის მესაჭიროება ვილისი. ვილისი მაჩუქა ამ ათი წლის წინად ა. მიქოიანმა [20], ახლა ხელახლა რომ ვთხოვო ფულს არ გამომართმევს [21]. შენ თუ შესძელი ჩემი წიგნის იქ გამოქვეყნება, მინდობილობას გამოგიგზავნი, ჰონორარი აილე და ერთი ვილისი მიყიდე და გამომიგზავნე. (ჩემი ვილისი დაბერდა და ნყობიდან გამოვიდა.) „ვოლგა“ ორი მაქვს, მაგრამ კავკასიის მთებში ამ მანქანებით მგზავრობა შეუძლებელია. თუ ამ საქმიდან რამე გამოვიდა, სათადარიგო ნაწილებიც უნდა შემადენინო.

შენი არ იყოს მეც დიდი ოჯახი მაქვს. 16 სულს ვარჩენ. ორი ძმა დამილუპეს 37 წელს, ორი სიძე მომიკვდა, ძმის წული მომიკლეს, ამათ ყველას დღესაც ვპატრონობთ. მე და ჩემს ცოლს, მირანდას ორი სამი კოსტიუმის მეტი არაფერი გაგვაჩნია. ჩემი კოშკი ბალიანად ერთი მილიონი დამიჯდა, კიდევ ბევრი რამ აკლია. ქვის პერანგი მინდა ჩავაცვა, თუ შეეძელი. მთავრობას არ ვანუხებ. იგი ამ უნიჭო მწერლების არმიას ვერ აუდის. ჩვენს კავშირში 450 „მწერალი“, ამდენ უნიჭოს რჩენას, მხოლოდ ჩვენი მთავრობა თუ გაუძლებდა.

მალე გამოვაგზავნიებ თავიანთ ლექსებს: გ. ლეონიძეს, ი. აბაშიძეს, გ. აბაშიძეს, ა. კალანდაძეს, ი. ნონეშვილს და სხვათა.

შენ შეგიძლია დიდი საქმეები გააკეთო ჩვენი მწერლობის პოპულარიზებისათვის. სასიამოვნოა, თამარიც რომ თარგმნის. გამომიგზავნეთ რასაც გამოსცემთ თქვენი შრომებიდან. მე აქ ბიბლიოგრაფიებს დავწერ.

დიდოსტატი მარტო ინგლისურად და ფრანგულად ითარგმნა. რაკი ევროპასა და ამერიკასთან ჯერ კონვენცია არ არის, ჰონორარი არ მიმიღია. მოკლე ხანში მე და მირანდა პარიზს ვაპირებთ ჩასვლას, შეიძლება იქ მომცენ ჰონორარი. თუ ეს მივიღე, ამას მე ჩვენი არხიტექტურის ძეგლების შესაკეთებლად მოვიხმარ. შენ მეკითხები ჩემს კოშკში ვინ ცხოვრობსო? ჩემი საყვარელი შვილიშვილი კონსტანტინე – „კოკო“ 2 წლისა და 3 თვის ბიჭი. ჩემი ვაჟი ზვიადი 24 წლისა, რძალი 21 წლისა, დედამისი – ჩემი მძახალი, ჩემი ქალი თამარი და მისი ქმარი გურამი. მეტად სტუმრიანი ოჯახი გვაქვს მე და ჩემს ცოლს. ორი მოსამსახურე და ერთი შოფერი ვერ აუდიან. ჩვენსას ჩამოდიან ევროპიდან, მოსკოვიდან, ერევნიდან, ინდოეთიდან მწერლები და მეცნიერები სტუმრად.

შენი ნაწერების გამო ჯერ ვერაფერს მოგწერ, რადგან აბაშელი [23], ფალავა [24] მოკვდნენ. ახმეტელი [25] დაილუპა 37 წელს.

არც მიწიშვილია [26] ცოცხალი. შავები თუ გაქვს, გამომიგზავნე და ყოველივეს გავაკეთებ.

მე დამავინყდა დიდი მადლობა მეთქვა, [19] 29 წელს გამოგზავნილი დახმარებისათვის, მაშინ სადილის ფულიც არა მქონდა. აი ეს იყო ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო. ჩვენს ფოტოებს მალე გაახლებ. თქვენი, მთელი ოჯახის გამოგვიგზავნე და ჩემს კაბინეტში გამოვფენ.

ფაშალიშვილსა [27] და გრიშაშვილს [28] სკლეროზი სჭირთ. ასე რომ მათგან ვერაფერს გაიგებს კაცი. ფაშალიშვილს შევეკითხები და მოგწერ.

არ დამავინყდეს: ალ. წერეთელი [29] გაათავისუფლეს და კარგადაა.

გარდაიცვალნენ: კ. კეკელიძე, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, კ. ჭიჭინაძე, შ. დადიანი, გ. ტაბიძე, გ. ქიქოძე. ლ. ქიაჩელი ავადაა და გარეთ არ გადის.

შენმა ბარათმა ყველანი გაგვახარა. ჩვენებს წაკითხული აქვთ შენი „სოლეილდორი“.

ჩემი ზვიადი ინგლისურში დასპეცდა. თარგმნა ო. ვუალდის ნოველები. რამდენიმე ინგლისელი და ამერიკელი პოეტი. მე ვთარგმნე ამას წინად ჰამლეტის I აქტი, იმასაც გაახლებ.

ასე მიდის ჩემი ცხოვრება რომაელები რომ იტყვიან: in orare et laborare [30]. სიბერეს ჯერ არა ვგრძნობ. გული და წნევა ჯერაც ჭაბუკური მაქვს. ვნადირობ. ცხენოსნობას ვწევი. მალე მე და ჩემი ბიჭი დათვზე სანადიროდ წავალთ.

P. S. ფაშალიშვილი სოფელში წასულა. როგორც კი გამოჩნდება, ყოველივეს დავაზუსტებ და გაცნობებ.

დიდი სალამი და ხელზე კოცნა ჩემს დობილს თამარს, მთელი ოჯახი გკოცნით შენ და გისურვებთ წარმატებასა და ბედნიერებას. მალე მიპასუხე გკოცნის შენი კონსტანტინე გამსახურდია.

ტფილისი, 1964, 4, III
კოლხური კოშკი

ჩვენო საყვარელო მეგობრებო თამარ და აკაკი!

ჩვენ ჭეშმარიტად დამნაშავენი ვართ თქვენს წინაშე, რომ აქამდის ვერ გიპასუხეთ თქვენს უკანასკნელ წერილზე, მაგრამ მე ნადირობის დროს გავცივდი, წერილი დავწერე ბარე ორჯერ, მაგ-

რამ არ მომენონა. მოგეხსენებათ პირადი ბარათის წერა არაა ადვილი, რა თქმა უნდა, თუ იგი გულისხმიერად არაა დაწერილი. ასეთი რამ ძლიერ ემარჯვებათ მე-XVII და XIX საუკუნეთა მწერლებს. ამ დღეებში მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი საახალწლო საჩუქარი – მშვენიერი ბლოკნოტი. ამ რამდენიმე თვის წინად მივიღეთ თქვენი ფოტოსურათი, იგი გამოვფინე ჩემი ბიბლიოთეკის სტენდზე. გიგზავნი ჩვენს ფოტოსურათს [31]. იგი გადაღებულია ჩემს სამუშაო ოთახში. მარცხნიდან პირველი, გახლავთ ჩემი მეუღლის მირანდას მამიდა ოლგა, რომელიც ამას წინად გარდაგვეცვალა, ჩვენი შვილების აღმზრდელი და ჩვენი ოჯახის მეგობარი, შემდეგი ჩემი ერთადერთი ვაჟია – ზვიადი, შემდეგ კი მე, ჩემს გვერდით, ჩემი მეუღლე – მირანდა, შემდეგ – ჩემი ძმისწული, ჩვენს მიერ აღზრდილი სვიმონი, ბოლოს ჩემი ქალი – თამარი. აქვე გიგზავნი ჩვენი ოჯახის კერპს, პატარა კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც თავის თავს დაარქვა „კოკო“.

გიგზავნით რამდენიმე წიგნს.

გულახდილად მოგახსენოთ, მე ისე დაქანცული ვარ, მეშინია ეს პირადი ბარათიც არ გამოვიდეს თქვენი საკადრისი. ამ წლების მანძილზე გამოვიდა ექვსი ტომი ჩემი რჩეული ნაწერებისა ქართულად, სამი – რუსულად, დიდოსტატი როგორც გწერდი ფრანგულად და ინგლისურად. იგივე რომანი გამოქვეყნდა სომხურად, ჩემი რომანი „ვაზის ყვავილობა“ – ლიტვურად, დიდოსტატი გამოქვეყნდა რუმინულად, მზადდება ჩეხური გამოცემა. ინგლისურად ითარგმნა და მალე გამოქვეყნდება ჩემი დიდი ნოველა „ხოგაის მინდია“, იგივე ნოველა ითარგმნა ფრანგულად. ეს უკანასკნელი ჩემი ქმნილებები თუ დაგაინტერესებთ, ეგებ გამოაქვეყნოდ გინდ ბრაზილიაში, გინდ ჩ. ამერიკაში.

ჩემი პირადი მდგომარეობა ალბათ გაინტერესებთ და იგი ასეთია. 1944 წელს მე ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ჩვენი ხელისუფლება ყურადღებით მექცევა.

ვამზადებ მე-VII და მე-VIII ტომს ქართულად, რუსულად გავა ამ ორი წლის მანძილზე IV და V, VI ტომები. მცირე ხანს ზღვაზე დავისვენებ და შევეუდგები დიდი რომან-ეპოპეის წერას, იგი ეხება გიორგი III და თამარის საქართველოს. თუ ჯამრთელობამ არ მიღალატა, ვაპირებ ანტიკური ეპოქის კოლხეთის შესახებაც დავწერო.

შესაძლოა ამ ზაფხულში ევროპაში წამოვიდეთ მე და ჩემი მეუღლე და ჩვენი ოცნებაა არგენტინაშიც ჩავიდეთ და თქვენ გინახულოთ.

აკაკი! შენ მწერდი შენი ნაწერების გამო. ქრისტეფორე [13] 1937 წელს დაილუპა, სიკო ფაშალიშვილს [27] ვკითხე, მაგრამ მას და გრიშაშვილს [28] ისეთი მძიმე სკლეროზი სჭირთ, მათგან ადამიანი ველარაფერს გაიგებს. საერთოდ თუ რაიმეს გამოქვეყნება გინდათ ქართულად, გამომიგზავნეთ და მე ყოველივე ზომას ვიხმარ. საერთოდ ახლა როგორც ვიცით, გაიოლებულია უცხოეთში მყოფ ქართველთათვის სამშობლოში ჩამოსვლა, ეგებ სცადოთ და ტურისტული საშვებით ჩამოხვიდეთ, აქ ჩვენ დაგიხვდებით მასპინძლებად.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ძლიერ კარგი პირობებია. ეგრედ ნოდებული „კულტის“ დროინდელი ამბები [32] მოისპო, ვმუშაობთ, ხელისუფლება ყოველნაირად ხელს გვიწყობს. ემიგრაციიდან დაბრუნებულთა შორის მრავალი უნივერსიტეტსა და უმაღლეს ინსტიტუტებში მუშაობს. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს თუ როგორ გენატრება ჩვენი ქვეყანის ნახვა, ტფილისსა და სხვა ჩვენს ქალაქებს ვეღარც იცნობთ.

გადიდდა ჩვენი გამომცემლობის საქმე. ჩემი რომანები იბეჭდება ასი ათასობით, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების სხვა და სხვა ენებზე, ამ წლებში მილიონზე მეტი ცალი დაიბეჭდა.

ასე და ამ გვარად ვცხოვრობთ და ვშრომობთ. ერთ ერთი მიზეზი გულისწუხილისა ესაა საუკეთესო მეგობრები დამელუპნენ. რა სიხარული იქნება ჩემთვის, ერთ ორ კვირას შენთან ვისტუმრო, ან შენ და თამარი გვეწვიოთ.

გიძღვნი სალამს

თქვენი ერთგული ძმა და მთელი ჩემი ოჯახი

კონსტანტინე გამსახურდია

P. S. გიგზავნი რამდენიმე ნიგნს

ძვირფასო მეგობრებო ბატონო აკაკი და ქ-ნო თამარ! გიგზავნით ჩვენი ბალის სურნელებას, ბედნიერი ვიქნები თუ გავიცნობთ – თუმცა დიდი მანძილი გვაშორებს! დამიკოცნეთ თქვენი ოჯახის ყოველი წევრი. თქვენი მირანდა გამსახურდია [33].

ტფილისი, 1964, 6, VI

გალის №13

ტელეფონი 3.25.39

ჩემო ძვირფასო მეგობრებო

თამარ და აკაკი! დღეს მივიღეთ თქვენი წერილი. ხვალ ქალაქიდან მივდივარ და ამიტომ გწერთ მოკლედ. მაინტერესებს რამ-

დენ დღეში მოგივა ეს ბარათი, მიღებისთანავე მიპასუხეთ. ვამზადებთ ამანათს თქვენთვის, გვაინტერესებს ამიტომაც.

ჩვენთან ყოველივე უცვლელადაა. აგარაკს ვიშენებთ ბიჭვინთაში და ამან დიდძალი დრო წაიღო. ახლა შევუდგები გიორგი III-ს და თუ ჯანმა არ მილაღატა, ალბათ ერთ წელს დავასრულებ. ეს ბარათი ვერაა ისე ბრწყინვალე როგორც თქვენი, მაგრამ ვეცდები შემდეგი უფრო გულისხმიერი მოგწეროთ.

გკოცნით ორივეს

მირანდა და კონსტანტინე გამსახურდია

P. S. ველით პასუხს

ტფილისი, 1964, 14, VI

გალის ქ. №13

ძვირფასო დაო თამარ!

ჩვენ შეგვზარა იმ საშინელმა დეპეშამ, რომელიც ამ ათიოდე დღის წინად მივიღეთ. ჩვენ ეს არ გვჯეროდა და ავიათი გამოგიგზავნეთ წერილი.

განუზომლად დამწუხრებული ვართ, გვიპასუხეთ, რა მოხდა და როგორ დაიღუპა ჩვენი ძვირფასი აკაკი? სიტყვა არ გვყოფნის ამ მწუხარების გამოსახატავად.

გევედრებით, გვიპასუხეთ.

გკოცნით და-ძმური სიყვარულით

კონსტანტინე და მირანდა გამსახურდია

მცირე კომენტარები

[1] აკაკი პაპავას მოთხრობა, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კავკასიონში“, აკაკი პაპავას ემიგრაციაში წასვლამდე.

[2] კონსტანტინე გამსახურდია ბოლშევიკებმა პირველად 1924 წელს, სახალხო აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით, დააპატიმრეს. მან 1926 წელს მწერალთა ყრილობაზე მწვავედ გააკრიტიკა ბოლშევიკების პოლიტიკა აფხაზეთში და ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა: „მე მაინცდამაინც დიდ პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსების ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა. მთლიანად ქართული რაიონი გალისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრულ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან“. ამ გამოსვლის შემდეგ იგი დააპატიმრეს. ექ-

ესი თვე იჯდა ე. ნ. „ბუტირკის“ ციხის სიკვდილმისჯილთა საკანში, შემდეგ გადაასახლეს სოლოვკის ბანაკში. 1927 წელს ცაკ-ის შუამდგომლობისთ კონსტანტინე გამსახურდია გაანთავისუფლეს და სამშობლოში დააბრუნეს.

[3] საუბარია ფრანგულ ჟურნალ „L'humanite Dimanche“-ზე, რომლის 1958 წლის ნომრებში იბეჭდებოდა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ ადაპტირებული ტექსტი.

[4] რუმინულად თარგმნა ვიქტორ კერნაბახმა 1962 წელს

[5] სომხურად გამოიცა 1960 წელს

[6] „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ ინგლისური თარგმანი დაიბეჭდა 1955 წელს. ინგლისურად თარგმნა ვახტანგ ერისთავმა.

[7] იგივე როტაციული მანქანა, მაღალმწარმოებლური საბეჭდი მანქანა, რომელსაც აქვს მბრუნავი საბეჭდი ფორმა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო მიხეილ ჭაბაშვილმა, თბ., 1989, გვ. 600)

[8] თამარ გოგოლაშვილი-პაპავა – მწერალი და ლიტერატორი, აკაკი პაპავას მეუღლე

[9] საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ემიგრანტები საქართველოში დაებრუნებინა. ამ მიზნით საბჭოთა საქართველოდან გზავნიდნენ ცნობილ პიროვნებებს, რომლებიც აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ და ცდილობდნენ ემიგრანტები სამშობლოში დაბრუნებაზე დაეთანხმებინათ.

[10] გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა 1962 წელს ქალაქ ყენევაში.

[11] საუბარია კოლხურ კოშკზე

[12] კულტის ეპოქა – პერიოდი, როცა ქვეყანაში სტალინის პიროვნების კულტი იყო.

[13] ქრისტეფორე რაჭველიშვილი (1894-1937) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, პოლიტიკოსი. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, ასევე საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი; არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი. იგი 1937 წელს დახვრიტეს.

[14] ვახტანგ კოტეტიშვილი (1893-1937) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე. იგი საბჭოთა რეპრესიების დროს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

[15] სამსონ ფორცხალავა (1872-1952) – პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. 1917-1919 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, ხოლო 1919-1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. 1946 წელს დაბრუნდა საქართველოში. იგი 1951 წელს დააპატიმრეს და შუა აზიაში გადასახლება მიუსაჯეს, სადაც გარდაიცვალა.

[16] სიმონ ჯანაშია (1900-1947) – ისტორიკოსი

[17] გიორგი ნიკოლაძე (1888-1931) – მათემატიკოსი და სპორტსმენი. დისერტაცია დაიცვა 1928 წელს სორბონაში. საქართველოში პირველი სატანვარჯიმო საზოგადოება „შევარდენის“ დამაარსებელი.

[18] ეჩმიაძინი

[19] „დიდოსტატის მარჯვენა“ ბენგალიურ ენაზე ინგლისურიდან თარგმნეს შუკრია გხოშმა და შუბხამოი გხოშმა.

[20] ანასტას მიქოიანი (1895-1978) – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. 1935-1966 წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.

[21] საბჭოთა მზვერავი, ტროცკის მკვლელობის ორგანიზატორი პავლე ანატოლის ძე სუდოპლატოვი (1907-1996), რომელიც აქტიურად იყო ჩართული მეორე მსოფლიო ომის დროს კავკასიაში გერმანელების წინააღმდეგ დივერსიულ საქმიანობაში, თავის წიგნში „დაზვერვა და კრემლი (არასასურველი მონმის ჩანაწერები): გამჟღავნებული ცხოვრება“ (მოსკოვი, 1996) კონსტანტინე გამსახურდიასთვის ვილისის ჩუქების შესახებ წერს: „ცნობილია, რომ სტალინმა პირადად აკრძალა მისი დაჭერა. 1954 წელს, როცა ბერია დახვრიტეს, საქართველოს ხელისუფლებას უნდოდა გამსახურდიას მოშორება და ადგილობრივმა კგბ-მ მიმართა მოსკოვს მისი დაპატიმრების სანქციის მისაღებად, როგორც ბერიას თანამონაწილის, რომელმაც დააგროვა პოლიტიკური კაპიტალი ხალხის მტერთან პირადი კავშირებით. როგორც მომიყვა მწერალი კირილ სტოლიაროვი, რომელიც 1953-1954 წლების მოვლენებს სწავლობდა, გამსახურდიას დადანაშაულება უნდოდათ იმაში, რომ ბერიას მითითებით ის აშანტაჟებდა საქართველოს ინტელიგენციას, აიძულებდა მათ დაემყარებინათ საიდუმლო კავშირები გერმანულ სპეცსამსახურებთან. მისი მბრალდებლები ამტკიცებდნენ, რომ სწო-

რედ ამის გამო, მან ომის წლებში ბერიასა და მიქოიანისაგან მიიღო ფული და ამერიკული „ვილისი“.

[22] საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი, რომელიც შეიქმნა 1932 წელს

[23] პოეტი ალექსანდრე აბაშელი (1884-1954). კონსტანტინე გამსახურდიას მის შესახებ დანერილი აქვს მოგონება „ალექსანდრე აბაშელი“

[24] აკაკი ფალავა (1987-1962) – რეჟისორი და თეატრმცოდნე. მან 1922 წელს თბილისში დააარსა თეატრალური სტუდია, რომელიც 1939 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა.

[25] ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი (1886-1937) – რეჟისორი. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისთვის იგი არასანდო პირად იყო მიჩნეული. მასზე თვალთვალი 1923 წლიდან ხორციელდებოდა. ლავრენტი ბერიამ იგი კონტრევოლუციურ საქმიანობაში დაადანაშაულა. სანდრო ახმეტელი 1936 წელს დააპატიმრეს და 7 თვიანი წამების შემდეგ, 1937 წელს, დახვრიტეს.

[26] ნიკოლო მინიშვილი (1896-1937) – პოეტი. იგი 1937 წელს დიდი ტერორის დროს დააპატიმრეს და 13 ივლისს დახვრიტეს. მას კონტრევოლუციური საქმიანობა და უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა ედებოდა ბრალად. რეალურად იგი ლავრენტი ბერიას აუგად მოხსენიების გამო დაისაჯა.

[27] სვიმონ (სიკო) ფაშალიშვილი (1894-1970) – მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი

[28] იოსებ გრიშაშვილი (1889-1965) – პოეტი

[29] ალექსანდრე წერეთელი (1889-1967) – ისტორიკოსი, ძველი მსოფლიოს ისტორიის ქართული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი 1921-1924 წლებში. იგი 1935 წელს დააპატიმრეს და შუა აზიაში გადაასახლეს. საიდანაც 1955 წელს დაბრუნდა. გადასახლებიდან საქართველოში დაბუნების შემდეგ მას აღუდგინეს ჩამორთმეული მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის სამეცნიერო წოდება.

[30] in orare et laborare – ლოცვასა და მუშაობაში

[31] აღნიშნული ფოტო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ თამარ და აკაკი შაპავების პირად საარქივო ფონდში არ არის დაცული.

[32] კონსტანტინე გამსახურდია გულისხმობს სტალინის მმართველობის ეპოქას, როცა სტალინის პოროვნების კულტი იყო ქვეყანაში. ამ პერიოდში მიმდინარეობდა მასობრივი და მასშტაბური რეპრესიები და ტერორი.

[33] დაწერილია კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლის მირანდა ფალავანდიშვილი-გამსახურდიას ხელით.

Shorena Murusidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Letters of Konstantine Gamsakhurdia to Tamar and Akaki Papava

Summary

Georgian National Manuscript Centre, in persona archival fund of Tamar and Akaki Papava of Georgian emigrants is preserved letters of famous Georgian writer's Konstantine Gamsakhurdia sent from Tbilisi in Argentina. The content of the letters includes new and noteworthy facts as about biography (about his creativity, family and future plans) of writer Konstantine Gamsakhurdia also about soviet repressions and researches of history of Georgian emigrates. Especially notable are the issues of return back in Georgia of emigrants and their contacts with homeland.

In the period when Stalini was governed the relations of emigrants with their families who remained in Georgia was impossible. They were allowed to contact them after Stalini died. The letters of Konstantine Gamsakhurdia to Tamar and Akaki Papava are sent in 1963-1964 years.

Soviet government tried to return Georgian emigrants in homeland. In this order he had many attempts. From one of the letters of Konstantine Gamsakhurdia it is confirmed that he was sent abroad in order to return Georgians emigrants in Georgia. He in his letter calls Akaki Papava to come back in homeland. He tries to convince him that there is every condition to return emigrants back. However he herein writes Samson Pirtskhalava who came back in homeland from emigration died in exile. Their friends were specified in repressions. Gamsakhurdia wrote on those hard conditions and period which he had passed during repressions.